## 1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

ააიპ „ქალაქი რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების „ #27 ფილიალში ერთი ჯგუფის და #36 ფილიალში სამი ჯგუფის რეაბილიტაცია

## 1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

ააიპ „ქალაქი რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების „ #27 ფილიალში ერთი ჯგუფის და #36 ფილიალში სამი ჯგუფის რეაბილიტაცია

პროექტი უნდა მოიცავდეს:

• თავფურცელს–ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
• სარჩევს-კომპლექტის შემადგენლობას;
• განმარტებით ბარათს, კარგად დეტალიზებული;
• არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური პარამეტრების აღწერა, გეგმები, ფასადები, ჭრილები;
• არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციას;
• სამუშაოების მოცულობათა უწყისს;
• ელ. მომარაგების პროექტს;
• სარემონტო სამუშაოებს;
• სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკს კალენდარული დღეების მიხედვით;
• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის 3 (სამი) ეგზემპლარი (ელექტრონულ ვერსიით PDF; Excel; Word ფორმატში); 1 CD დისკი.
• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი ასევე შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი მოცულობა შეთანხმებული უნდა ააიპ „ქალაქი რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების „ ინფრასტრუქტურისა და მონიტორინგის სამსახურთან

პროექტის განმარტებით ბარათში სრულყოფილად უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტები

მოცემული უნდა იყოს საპროექტო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, მითითებული იქნეს გამოყენებული მასალების და ნაკეთობათა შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მათი მონაცემები-ტექნიკური მახასიათებლები, სპეციფიკაციები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები საორიენტაციო კალენდარული გრაფიკით. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით;

• კონსტრუქციული პროექტი კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები(მ. 1:100, 1:50, 1:25);

• კონსტრუქციული საანგარიშო სქემები; საინჟინრო ქსელები ელ. მომარაგება, (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);

• სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად - რესურსული მეთოდით; წინასწარი რესურსული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დოკუმენტაცია მომზადდეს ყველა არსებული გადასახადების გათვალისწინებით (მასალის ხარისხისა და მისი განზომილებების ჩვენებით) და დაიყოს ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებად, ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი სამუშოების მიხედვით. ქართულ ენაზე. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები PDF ფორმატში).

დამატებითი მოთხოვნები:

• საპროექტო ორგანიზაციის მიერ, ობიექტის ადგილზე დეტალური შესწავლით დადგინდეს ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების პროექტირებისათვის საჭირო ყველა დეტალი.

• სხვა დამატებითი აუცილებელი ჩასატარებელი სამუშაოები, ობიექტის ადგილზე შესწავლის შემდეგ, საპროექტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნას მის წინადადებაში.

• საპროექტო დოკუმენტაციის მიმდინარეობის პროცესში, ყველა დეტალი შეთანხმებული იქნას ააიპ „ქალაქი რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების „ ინფრასტრუქტურისა და მონიტორინგის სამსახურთან.

• სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.

• მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტის განხორციელების/მშენებლობის პროცესში. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

GMG